## თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სილაბუსი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური
**კათედრა:** ქართული ფილოლოგიის
**სალექციო კურსი:** ტექსტის ლინგვისტური ანალიზი
**კურსის კოდი:** **P.2.K.10**
**კრედიტების რაოდენობა:** **5.**
**კურსის სტატუსი:** არჩევითი
**ლექტორი:** **როინ ჭიკაძე,** **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი.**
საკონტაქტო ტელეფონი: 7-17-63; 7-63-17; 8. 99-58. 38. 84.

კურსი ისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის მიმართულების მაგისტრატურის II კურსის III სემესტრში.
**კურსის ხანგრძლივობა:** 15კვირა–125საათი: 45 სააუდიტორიო (სწავლების ფორმა –პრაქტიკული).

**კურსის მიზანი:** კურსის მიზანია ტექსტის ყოველმხრივი ლინგვისტური ანალიზი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური).

**პრერეკვიზიტი:** ქართული ენის საბაკალავრო პროგრამის საფუძვლიანი ცოდნა.

**სასწავლო კურსის შედეგი:** სასემინარო-პრაქტიკული მეცადინეობით შეჯამდება მაგისტრანტთა მიერ ლინგვისტიკაში შეძენილი ცოდნა, გამოუმუშავდებათ ენათმეცნიერული კვლევის უნერ-ჩვევები და მათი თვალთახედვის არეალში მოექცევა ლინგვისტური პრობლემების ფართო სპექტრი. ისინი თავისუფლად შეძლებენ საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ენობრივი სტანდარტების ყოველმხრივ შესრულებას და შექმნილი პრობლემების დამოუკიდებლადგადაწყვეტას. იქნებიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები.

| | **ზოგადი კომპეტენციები** | **დარგობრივი კომპეტენციები** |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება.** | ლინგვისტური ანალიზისუნარი;<br><br>მეცნიერული ალღოს ჩამოყალიბება; | ამომწურავი ცოდნა ტექსტის ლინგვისტურ ანალიზსა და კორექტირებაში |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | სიტყვობრივი ერთეულების ტექსტის მიზანთან შესაბამისაბაში მოყვანა; |

| | | |
|---|---|---|
| | | ტექსტის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური ანალიზი. |
| **სწავლის უნარი** | საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა. | ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება; |
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | დებატებისა და დისკუსიების დროს სწორი და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი |
| **ღირებულებები** | გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი. | ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას. |

## კურსის სტრუქტურა:

**I კვირა:**
**თემა:** ბგერათა კლასიფიკაცია.
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:** გიგინეიშვილი, ი; თოფურია, ვ; ქავთარაძე, ი; (1961), ქართული დიალექტოლოგია (ტექსტები) – შერჩევით.
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 5-8.

**II-III კვირა**
**თემა:** ძირითადი ფონეტიკური პროცესები
**სემინარი: 2**
**ლიტერატურა:** გიგინეიშვილი, ი; თოფურია, ვ; ქავთარაძე, ი; (1961), ქართული დიალექტოლოგია (ტექსტები) – შერჩევით.
ა. კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 9-20.

**IV კვირა**
**თემა:** სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი); მათი დახასიათება ფორმისა და შინაარსის მიხედვით; ბრუნების თავისებურებანი.
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 20-47.

**V-VIკვირა**
**თემა:** ზმნა; ზმნის გრამატიკული კატეგორიები და მათი ფორმაწარმოება.
**სემინარი: 2**

**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 57-88.
ქართველ მწერალთა მხატვრული შემოქმედების ტექსტები(შერჩევით).

**VII კვირა**
**თემა:** ზმნის უღლება; საუღლებელ ზმნათა ფორმაწარმოება სერიებისა და მწკრივების მიხედვით.
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ.89-112.
ქართველ მწერალთა მხატვრული შემოქმედების ტექსტები(შერჩევით).
**VIII კვირა**
**თემა:** სიტყვაწარმოება (წარმოქმნა და კომპოზიცია).
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ.150-168.
ქართველ მწერალთა მხატვრული შემოქმედების ტექსტები(შერჩევით).

**IX კვირა**
**თემა:** მარტივი წინადადების სტრუქტურა; წინადადების წევრები.
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 173-203.
ნ. იოსავა, ქართული ენა – პრაქტიკუმი სინტაქსში გვ. 21-206 (შერჩევით)

**X კვირა**
**თემა:** მარტივი წინადადება; წინადადების წევრები და სიტყვაშეთანხმების პრინციპები. მარტივი წინადადების შედგენილობა.
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 204-206.
ნ. იოსავა, ქართული ენა – პრაქტიკუმი სინტაქსში გვ.21-ს210(შერჩევით).

**XI კვირა**
**თემა:** შერწყმული წინადადება. მისი სტრუქტურა.
**სემინარი: 1**
**ლიტერატურა:**
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ. 207-221.
ნ. იოსავა, ქართული ენა – პრაქტიკუმი სინტაქსში გვ. .235-329.
როინ ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში,გვ. 143-170.

**XII კვირა**
**თემა**: რთული თანწყობილი წინადადება. მისი სტრუქტურა.
სემინარი–1
**ლიტერატურა**:
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ.229-235.
ნ. იოსავა, ქართული ენა – პრაქტიკუმი სინტაქსში გვ. 371-390.
როინ ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, გვ. 27-75.(შერჩევით)

**XIII-XIV კვირა**

**თემა**: რთული ქვეწყობილი წინადადება. მისი სტრუქტურა.დამოკიდებული წინადადების სახეები.
სემინარი–2

**ლიტერატურა**:
ა.კიზირია, ქართული ენა – (პრაქტიკუმი), გვ.226-250.
ნ. იოსავა, ქართული ენა – პრაქტიკუმი სინტაქსში გვ. 426-510.
**XV–კვირა**
**თემა**: შერწყმულ, თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი.
**სემინარი–1**
**ლიტერატურა**:
როინ ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, გვ.143-170.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები** – სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ **100** ქულიანი სისტემით.
**გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I. შუალედური შეფასება ––– მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:**

ა/. **ორი შუალედური წერა** ––– მაქსიმუმ 30 ქულა, თითოეული მაქსიმუმ 15 ქულა (VIII, XIII კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება. ***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

1. დავალება –– თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:
   - საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება –– 4 ქულა;
   - ნაშრომის აგება დაარგუმენტირება-ციტირება–– 4 ქულა;
   - წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა ––– 2 ქულა;

     დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა ––– 1 ქულა;

     10-ზე მეტი შეცდომა –––––––– 0 ქულა
2. დავალება –– პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:
   - დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება––3 ქულა;

     ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2 ქულა;

     ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა–1 ქულა;

     არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი ––– 0 ქულა.
   - წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;

არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა––– 0 ქულა.

**ბ/. ზეპირი სააუდიტორიო აქტივობები –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

*პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა) ;
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;
- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

**გ/. საშინაო დავალება/რეფერატი** — მაქსიმუმ 10 ქულა,

*შეფასების კრიტერიუმები:*

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ——— 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა ——— 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) —— 3 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა ———— 2 ქულა.

II. დასკვნითი გამოცდა —— მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

**მოთხოვნები – ა/. ქცევა –** თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება;

**ბ/. კატეგორიულად აკრძალულია გადაწერა და პლაგიატობა –** საშინაო დავალებები – 0 ქულა,

შუალედური წერა – 0 ქულა

საბოლოო გამოცდა – 0 ქულა.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. ანტონ კიზირია, 1984, ქართული ენა – პრაქტიკუმი:(ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), გამომცემლობა„განათლება“;
2. ნელი იოსავე, 2003, ქართული ენა –პრაქტიკუმი სინტაქსში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

**დამატებითი ლიტერატურა:** 1.გიგინეიშვილი, ი; თოფურია, ვ; ქავთარაძე, ი; (1961), ქართული დიალექტოლოგია (ტექსტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

2. ქართველ მწერალთა მხატვრული შემოქმედების ტექსტები;
3. როინ ჭიკაძე, 1995, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

**ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ლექტორის პირად ბიბლიოთეკაში**